ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3525293

ნომერი: AR1538488

თარიღი : 07.09.2017

გაცემის თარიღი : 08.09.2017

გაცნობის თარიღი : 08.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპ. N19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი 19 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, III მ/რ., კორპუსი N19-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ცირა შარაშიძე პ/ნ 01005004735
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 1 ბ. 64

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 7 სექტემბრის AR1538488 განცხადებით მომართა ცირა შარაშიძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებით ქ.თბილისში, დიდი დიღმის III მიკრო/რაიონის, მე-19 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.08.005.111; ფართობი:1599კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N1-1622 (31.08.17.) ბრძანების საფუძველზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვა (კ–2)=3.6. სამსახურის 2017 წლის 4 აგვისტოს №3451216 ბრძანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი და გეგმა (საკადასტრო კოდი #01.10.08.005.130 მიწის ნაკვეთის ფართობი: 2172 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017384459; რეგისტრაციის თარიღი 17/05/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N882017650987, რეგისტრაციის თარიღი 21/07/2017 წ.).
დღევანდელი მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს, ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 სექტემბრის №2800590 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.